ევროკავშირი საქართველოსთვის

SKYE Net – ცოდნისა და უნარების გაძლიერების პლატფორმა ახალგაზრდებისთვის

განხორციელების პერიოდი:
01.07.2023 - 30.06.2025

სამიზნე ქვეყნები:
საქართველო, სომხეთი, მოლდოვა

პროექტის ბიუჯეტი:
EU კონტრიბუცია: **€953,375**
მთლიანი ბიუჯეტი: **€1,039,506**

განმახორციელებელი პარტნიორები:
World Vision სომხეთი
World Vision საქართველო
IRIS ბიზნეს ინკუბატორი (სომხეთი)
MilleniuM ტრენინგისა და განვითარების ინსტიტუტი (მოლდოვა)

პროექტის აღწერა

პროექტი ხელს უწყობს ახალგაზრდების, განსაკუთრებით მოწყვლადი ახალგაზრდების, აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ, დემოკრატიულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მათი ციფრული, სოციალური მეწარმეობისა და კარიერული მართვის უნარების განვითარების გზით. პროექტი მხარს უჭერს ახალგაზრდა სოციალურ მეწარმეებს, რომელთა საქმიანობა მიმართულია ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემების მოგვარებისკენ, ციფრული და მწვანე ტექნოლოგიების გამოყენებით საქართველოში, სომხეთსა და მოლდოვაში.

მიზანი 1 ითვალისწინებს ახალგაზრდა სოციალური მეწარმეების და მათი სტარტაპების მხარდაჭერას, მწვანე და ციფრულ ეკონომიკაზე ფოკუსირებით და ასევე ბიზნესის განვითარების უკვე არსებული პროგრამების და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მათზე წვდომას

მიზანი 2 ითვალისწინებს "SKYE Net" ტრანსნაციონალური პლატფორმის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს სომხეთში, საქართველოსა და მოლდოვაში მცხოვრებ ახალგაზრდებს შორის ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას განსაკუთრებით მწვანე და ციფრული ტრანსფორმაციის შესახებ. პლატფორმა აერთიანებს სახელმწიფო სტრუქტურების, კერძო სექტორის, საგანმანათლებლო დაწესებულებების და

პროექტის მიზნები

პროექტის მთავარი მიზანია სომხეთში, საქართველოსა და მოლდოვაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის დაინერგოს წარმატებული სამეწარმეო და კარიერის მართვის პრაქტიკები და სოციალური მეწარმეობის განვითარების შესაძლებლობები, რომელიც წარმოდგენილია შემდეგ მიზნებად:

ძირითადი მიზანი 1 : სომხეთში, საქართველოსა და მოლდოვაში ლიდერმა ახალგაზრდებმა საჭირო უნარების განვითარებითა და არსებული შესაძლებლობების გამოყენების გზით, შეძლეს თავიანთი იდეების წარმატებულ ბიზნესებად და მდგრად სოციალურ საწარმოებად გარდაქმნა.

ძირითადი მიზანი 2 : მწვანე და ციფრულ ეკონომიკაში ახალგაზრდული მეწარმეობის პოპულარიზაცია და მხარდაჭერა ხორციელდება სოციალური საწარმოების ბიზნეს მოდელების შემუშავებით, მეზობელ ქვეყნებთან აქტიური თანამშრომლობითა და გაუმჯობესებული ბიზნეს გარემოთი.

მოსალოდნელი შედეგები

- სამიზნე არეალში მცხოვრები 300-ზე მეტი ახალგაზრდა გაეცნო სოციალური მეწარმეობის საფუძვლებს, მიზნებსა და წარმატებულ მაგალითებს; ახალგაზრდები მოტივირებული არიან და სურთ პროექტში მონაწილეობის მიღება.
- 180-მა ახალგაზრდამ შეიძინა მეწარმეობისთვის საჭირო უნარები და ისწავლა იდეების წარდგენა/ფიჩინგი; მონაწილეთა მინიმუმ 70%-მა შეიმუშავა ბიზნეს მოდელები ბიზნეს ტრენერის /ქოუჩის ხელმძღვანელობით.
- დაფინანსებო30-მა სოციალური საწარმოს ბიზნეს მოდელმა, რომელიც ორიენტირებულია სასიკეთო ცვლილებების მოტანაზე.
- შეიქმნა სოციალური მეწარმეობის სახელმძღვანელო.
- შეიქმნა 25 SKYE ახალგაზრდების უნარების და კომპეტენციების გაძლიერების კლუბი მოლდოვაში (5), სომხეთში (10), საქართველოში (10).

საკონტაქტო ინფორმაცია

ირაკლი გიორბელიძე,
პროექტის მენეჯერი, World Vision Georgia
Irakli_giorbelidze@wvi.org